პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 112 (7673)
12 ივნისი,
შაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

პროგრესი უდავოა

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 10 ივნისი. 74324 მაყურებელი.

„დინამო“ (თბილისი)		„დინამო“ (მინსკი)
აბუსერიძე		ჟეკიუ
მიქაბერიძე		ბელოვი
ჩივაძე		კურნენინი
პაიკიძე	2:0	იანუშევსკი
არზიანი		შიშკინი
კაკილაშვილი	მე-15 წთ. ყორყიაშვილი	ზიგმანტოვიჩი
სვანაძე	85-ე წთ. ჩივაძე	გოცმანოვი
სულაქველიძე		პუდიშევი
გუცაევი		ალეინიკოვი
ყორყიაშვილი		სოკოლი
შენგელია		კონდრატიევი

მე-60 წთ. ბელოვის ნაცვლად — **მეტლიცკი**, 71-ე წთ. ყორყიაშვილის ნაცვლად — **თევზაძე**, 78-ე წთ. პუდიშევის ნაცვლად — **მელნიკოვი**, 88-ე წთ. გუცაევის ნაცვლად — **გურული**.

მსაჯი: ალექსანდრე მუშკოვეცი (მოსკოვი).

გააფრთხილეს იანუშევსკი.

კარში დარტყმა — 15:16 (8:13), ზუსტი დარტყმა — 8:0 (3:0), საჯარიმო მოედნიდან — 8:3 (3:3).

კუთხური — 7:7 (2:5).

დაჯარიმდნენ: თბილისელები — 8(4), მინსკელები — 19 (9).

მთავარი, რაც განვლილი მატჩის რეცენზიაში გვინდა აღვნიშნოთ, ისაა, რომ თბილისის „დინამოს“, მის მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, მთელ კოლექტივს, ეს ხანმოკლე შესვენება, რომელიც 47-ე საკავშირო ჩემპიონატში სავსებით მოულოდნელად წარმოიქმნა 24 მაისის შემდეგ, ნაყოფიერად გამოუყენებიათ. ასეთი იძულებითი „პაუზის“ შევსება, გამოცდილებით ვიცი, ძალზე ძნელია: მოთამაშეებმა არ უნდა დაკარგონ სპორტული ფორმა, არ ამოვარდნენ საშეჯიბრებო რიტმიდან, შეინარჩუნონ ფიზიკური მომზადების მაღალი დონე, საბრძოლო განწყობილება, ფსიქოლოგიური ტონუსი... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხეირიანი სპარინგ-პარტნიორების მონახვაც ჭირს ხოლმე ასეთ დროს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის „დინამო“ ახლა სრულ წესრიგშია, ხოლო მისი პროგრესი უდავოა. ნათქვამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ჩვენი მეტოქე 10 ივნისის მატჩში მინსკის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია, ბოლო ორი წლის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი. ამდენად, მასთან შეხვედრა ერთგვარი სასინჯი ქვა იყო, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა უმთავრეს კითხვაზე — მართლა პროგრესის გზაზე დგას თბილისის „დინამო“, თუ მისი ბოლოდროინდელი მიღწევები მხოლოდ იღბლიან მოვლენათა კომპლექსია? ის ამბავი, რომ მინსკელებმა სულ ახლახან საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით წააგეს თასის მატჩი მოსკოველ თანაკლუბელებთან, მხოლოდ ართულებდა საქმეს, ვინაიდან ცხადი იყო, ასეთი კაზუსის შემდეგ ექს-ჩემპიონი მაქსიმალური ძალით იბრძოლებდა შელახული რეპუტაციის აღსადგენად.

მინსკელებს, მართლაც, არაფერი დაუშურებიათ ამ მატჩში, ყველაფერი იღონეს, მაგრამ წააგეს და ამ წაგებას, ჩემი აზრით, რაიმე სუბიექტური მიზეზები არა ჰქონია. თბილისელებმა უკეთ ითამაშეს. ისინი ყველა რგოლში ჯობდნენ მეტოქეს.

რომ ვთქვათ, თბილისელებს აშკარად გამოკვეთილი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათო, სწორი არ იქნება. ყოველი ცალკეული სათამაშო ეპიზოდის, ყოველი მანევრის მოგება ძალების დიდ მობილიზებას საჭიროებდა. მინსკელთა თითოეული რგოლი თავგამოდებით იბრძოდა და სასიამოვნოც სწორედ ისაა, რომ მასპინძლებმა გაიმარჯვეს არა მეტოქის სუსტი თამაშის წყალობით, არამედ, პირიქით, შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად, თუ ცალკეულ უმნიშვნელო წვრილმანებს არ მივიღებთ მხედველობაში. მცველებიც შეუცდომლად მოქმედებდნენ, თავდამსხმელებიც ხშირად სძლევდნენ მოპირდაპირე დაცვას, ხოლო ნახევარდაცვას კარგა ხანია ასე აქტიურად, მობილურად, აზრიანად არ უთამაშია არა მარტო შუა მინდორზე, არამედ გაცილებით უფრო ვრცლად — კარიდან კარამდე. ვიტყვი, რომ მინსკელთა იერიშების მოგერიება იოლი არ იყო, მათ გამუდმებით სამი თავდამსხმელი ჰყავდათ წინა ხაზზე (სოკოლი, კონდრატიევი, გოცმანოვი), რომლებიც ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ კარის საიერიშოდ. ჩვენი განაპირა მცველები მიქაბერიძე და არზიანი ზოგჯერ ბევრ დროს უთმობდნენ პერსონალურ მეურვეობას და მაშინ უკან დახევა უხდებოდათ ნახევარმცველებს, მაგრამ თბილისელთა გაძლიერებული ძალები ხიფათის მოგერიებისთანავე, დაუხანებლად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, შეტევაში მონაწილეობდნენ ყველა რგოლის მოთამაშეები და მეკარე ჟეკიუს მოცლა არა ჰქონდა.

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს“ ცალკეულ მოთამაშეთა დახასიათებას არ შევუდგები, მათი კარგი თამაში გუნდის აშკარა პროგრესის ნათელი დადასტურებაა.

პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს მე-15 წუთზე: ყორყიაშვილმა მოულოდნელად დაარტყა შორიდან, ჟეკიუს რომელიღაც მცველი ჩამოეფარა, თვითონ მანაც ვერ მოასწრო დროული რეაგირება და ბურთი ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა და საერთოდ სიმძაფრემაც კიდევ უფრო იმატა. იყო მომენტები, როცა სტუმრები ხანგრძლივად გვიტევდნენ, ზემოჩამოთვლილ ფორვარდებს ემატებოდნენ ზიგმანტოვიჩი, პუდიშევი, ალეინიკოვი, დროდადრო კარის დაცვა დიდად ჭირდა, მაგრამ საკმარისი იყო ხიფათის მოგერიება და თბილისელები წამსვე შეტევაზე გადადიოდნენ, იერიშში მაშინვე ერთვოდნენ გუცაევი და შენგელია. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას შიშკინმა თავის საჯარიმო მოედანზე წააქცია გუცაევი. 11-მეტრიანი ზუსტად, ძლიერად დაარტყა ჩივაძემ — 2:0. ეს მოხდა 85-ე წუთზე.

რეზო ძოძუაშვილი,
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

სურათზე: ალექსანდრე ჩივაძის საჯარიმო დარტყმა ამჯერად მოიგერია მეკარე ჟეკიუმ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

* * *

უმაღლესი ლიგა

მოგვყავს სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 10 და 11 ივნისს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები.

„სპარტაკი“ — ასკ-რ. 1:6
„ფახთაქორი“ — „დინამო“ კ. 0:1
„ნეფთჩი“ — „ჟალგირისი“ 0:0
„მეტალისტი“ — „ქაირათი“ 3:0
„შახტიორი“ — ცსკა 1:2
„არარატი“ — „ზენიტი“ 1:2
„დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“ 0:0

გათამაშების ცხრილი
ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	12	8	1	3	20-14	17
„სპარტაკი“	12	6	4	2	16-11	16
ასკ რ.	12	6	3	3	22-13	15
„დინამო“ კ.	12	5	5	2	17-9	15
„ტორპედო“	12	6	2	4	9-8	14
„ზენიტი“	12	5	4	3	18-11	14
„დინამო“ თბ.	12	5	4	3	11-8	14
„დინამო“ მნ.	12	4	6	2	15-11	14
ცსკა	12	4	5	3	13-13	13
„შახტიორი“	12	4	4	4	20-17	12
„ჩერნომორ.“	12	4	4	4	13-15	12
„მეტალისტი“	12	4	3	5	14-14	11
„ჟალგირისი“	12	2	7	3	7-14	11
„ქაირათი“	12	3	4	5	15-20	10
„არარატი“	12	3	2	7	14-17	8
„ნეფთჩი“	12	3	1	8	9-23	7
„დინამო“ მ.	12	2	3	7	12-19	7
„ფახთაქორი“	12	2	2	8	10-18	6

ელვა-ინფორმაცია

რეკორდები

32 წელიწადი იარსება შესანიშნავი ქართველი სპრინტერის, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნის, ევროპის ჩემპიონის (4X100 მეტრზე ამანათრბენში), სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან სანაძის რესპუბლიკურმა რეკორდმა 100 მეტრზე რბენაში (10,3).

გუშინ თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარე სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაზე „ხანდაზმული“ რეკორდი დაამხო ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა **ბესიკ გოცირიძემ** (მწვრთნელი **ევგენი გაგუა**). მან წინასწარ გარბენში ჯერ ძველი რეკორდი გაიმეორა, ხოლო ფინალში 10,2 აჩვენა.

სოჭში ძმები ზნამენსკების მემორიალზე 10 კმ-ზე რბენაში შესანიშნავად იასპარეზა 21 წლის თბილისელმა სტაიერმა **ოლეგ სტრიჟაკოვმა** (მწვრთნელი **ვიტალი ქადეიშვილი**). მან დისტანცია 28.23,80 დაფარა და თითქმის 25 წამით გააუმჯობესა საქართველოს ძველი რეკორდი. ამ შედეგმა დინამოელ სპორტსმენს მესამე ადგილი მოუტანა.

„არ მიყვარს ფრთხილი მოკრივე“

ხვიჩა ხდრიანი თბილისის 164-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა (სკოლის დირექტორი თემურ ანდღულაძე). კრივში მეცადინეობა დაიწყო 1979 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გარეგინ ხაჩატუროვის ხელმძღვანელობით „შრომითი რეზერვების“ ერთ-ერთ სექციაში. მაშინ იგი VI კლასში იყო.

1980 წელს გაგრაში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა მოიგო.

1981 წელს 1 ადგილი დაიკავა ნოვოროსიისკში გამართულ „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაში. სხვათა შორის, ეს ტურნირი იღბლიანი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის სხვა ჭაბუკი მოკრივეებისათვისაც. ხვიჩას გარდა კიდევ ოთხმა ჭაბუკმა იზეიმა გამარჯვება — ალბერტ კაზანჯიანმა (40 კგ), გელა მაკიევმა (44 კგ), გიორგი ცინცაძემ (46 კგ) და ბესო დანიელოვმა (66 კგ). ხვიჩა ხდრიანი იმ წელიწადს 42 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

1982 წელს ისევ უმცროსი ასაკის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირებში მონაწილეობს. ტალინში ხვიჩა მეორედ ხდება ჩემპიონი.

1983 წელს უკვე უფროსი ასაკის ჭაბუკებში გამოდის და ულიანოვსკში საკავშირო შეჯიბრებას იგებს, ამ წარმატებისათვის ხვიჩა ჩვენი ქვეყნის ნაკრებში შეჰყავთ.

1984 წელს ახალგაზრდა მოკრივეს რამდენიმე პრესტიჟულ ტურნირში მოუხდა ასპარეზობა. მერე კი იყო ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატი (ეს შეჯიბრება ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა ფინეთის ქალაქ ტამპერეში), სადაც ხვიჩა ხდრიანმა უმაღლესი ტიტული დაიმსახურა.

იგი ცხოვრებაში საოცრად მორცხვია და თავმდაბალი. ამიტომ პასუხებსაც მოკლედ და ძუნწად იძლევა:

●რომელი ბრძოლა იყო ყველაზე იოლი ტამპერეში?

— პირველი შეხვედრა ნორვეგიელ ოსტმოგეერთან. ეს მოკრივე კარგად მყავს შესწავლილი, ვიცნობ მის სისუსტეებს და ამიტომაც თამამად ვიბრძოდი.

●ყველაზე ძნელი?

—სამი მომდევნო შეხვედრა ჩემთვის ერთნაირად ძნელი იყო. რუტი ჰეიკი თავის მშობლიურ ქალაქში ასპარეზობდა და, ცხადია, მაყურებლები მხურვალედ უჭერდნენ მხარს. ფრანგი ერიკ ტორმოსი და ბულგარელი დმიტრი ივანოვი საპრიზო ადგილების რეალურ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ და უბრძოლველად რას დამითმობდნენ.

●რომელ კრივს ანიჭებთ უპირატესობას — ტექნიკურს თუ ძალისმიერს?

— ჩემი საყვარელი პოზიციაა საშუალო დისტანცია. ამ დისტანციიდან ბრძოლას კი ტექნიკაც საკმარისი სჭირდება და ფიზიკური ძალაც.



●რომელ დარტყმას იყენებთ უფრო ხშირად?

— გვერდით დარტყმებს — ორივე მხრიდან. მარჯვენა და მარცხენა დგომი ერთნაირად მეხერხება. მიყვარს აპერკოტიც. სამწუხაროდ, ამ დარტყმას მოკრივეები ბოლო წლებში იშვიათად მიმართავენ.

●ვინ არის თქვენი იდეალი კრივში?

— არ მიყვარს მშიშარა და ფრთხილი მოკრივე. ამიტომ დიდ პატივს ვცემ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს იური ალექსანდროვს. მას ერთნაირად ემარჯვება ტექნიკური ბრძოლაც და ძალისმიერიც.

●რა არის თქვენი ყველაზე დიდი ოცნება?

— მინდა გავხდე მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში. ეს ტურნირი გაისად ჩატარდება იუგოსლავიის რომელიმე ქალაქში, მაგრამ მე შინაგანად უკვე აქედანვე ვემზადები მძიმე ბრძოლებისთვის.

* * *

გურამ ბიგანიშვილი ჩემპიონია



შაბათს, სევასტოპოლში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი აფროსნობაში, სადაც ჩვენი ქვეყნის 160 უძლიერესი იახტსმენი ასპარეზობდა. „ვარსკვლავის“ კლასში 19,7 საჯარიმო ქულით ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისელი გურამ ბიგანიშვილი. მან უკან ჩამოიტოვა ისეთი გამოცდილი მეტოქეები, როგორებიც არიან ა. ბალაშოვი, ე. ავქსენტიევი და ა. ვოლმერი. გამუდმებული ავდრისა და შტორმების პირობებში გურამმა დიდი გამოცდილების, შესანიშნავი ფიზიკური მომზადებისა და ოსტატობის წყალობით შესძლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტულის მოპოვება.

„ფინის“ კლასში ოქროს მედალს დაეუფლა ოლეგ ხოპერსკი, „470“-ში — მიხეილ კუდრიავცევი (ორივე — რსფსრ), „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში — სერგეი ბოროდინოვი, „სოლინგში“ — სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ბორის ბუდნიკოვი (ორივე — მოსკოვი), „ტორნადოს“ კლასში გაიმარჯვა ვიქტორ პოტაპოვმა (რსფსრ), ხოლო „ვინდგლაიდერში“ უძლიერესი იყო მოსკოველი სერგეი სამოკიში.

სურათზე: გურამ ბიგანიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სიტყვა საქმიანი

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა პოზიციები რომ დათმეს, ახალი ამბავი არ არის. ნურავის ჰგონია, რომ გულშემატკივარი უკვე შეურიგდა ამ ფაქტს ან იმ მწვრთნელ-სპეციალისტთა დაპირებებითაა დაიმედებული, საეჭვო გულდაჯერებით რომ გვიმტკიცებენ: საპანიკო არაფერია, საქმე კარგად მიდის, ყველაფერი რიგზე იქნება. თავისუფალი ჭიდაობის მესვეურთაგან ამგვარი დაპირებები კარგა ხანია გვესმის, მაგრამ წლები გადის, ნამდვილი ფალავნები და ჩემპიონები არ ჩანან. ჩემპიონები კი არა, ახლახან კრასნოიარსკში გამართულ საკავშირო პირველობაზე ქართველებიდან პრიზიორთა სამეულშიც ვერავინ მოხვდა.

სწორედ ამ ჩემპიონატის შედეგებზე, ჩვენი რესპუბლიკის ფალავანთა გამოსვლაზე გვიამბობს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჯუმბერ დავლიანიძე, რომელიც კრასნოიარსკის ტურნირზე არბიტრად იყო მიწვეული.

მხოლოდ დაპირებები საქმეს არ შველის

— ამჯერად ჩემპიონატში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ, — ამბობს ჯუმბერ დავლიანიძე. — შეჯიბრებაში ორასზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა, მათ შორის შვიდი სპორტის დამსახურებული ოსტატი და ორმოცდათერთმეტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. სხვადასხვა მიზეზით სარბიელზე არ გამოსულან მსოფლიოს ჩემპიონები: კორნილაევი, ძმები ბელოგლაზოვები, ხოდარცევი, ფაძაევი... ჩვენი რესპუბლიკიდან თხუთმეტი მოჭიდავე მოხვდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებში („კოლმეურნე“ — 4, „დინამო“ და საბჭოთა არმია — 3-3, „სპარტაკი“, „ბურევესტნიკი“, „შრომითი რეზერვები“, „განთიადი“, „ზენიტი“ — 1-1. ავადმყოფობის გამო შინ დარჩა სოხუმელი ეგია მუსოიანი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე იყო მიწვეული ლერი ხაბელოვი, რომელმაც შემდეგ ევროპის ჩემპიონატში იასპარეზა და ოქროს მედალი მოიპოვა). ეს თავისთავად ურიგო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ უშუალოდ შეჯიბრებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ფალავნების უმრავლესობა სუსტად მოემზადა და ჩემპიონატში ადრევე გამოეთიშა მედლებისათვის ბრძოლას.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოჭიდავეებმა მხოლოდ 5 ქულა მოაგროვეს, ამჯერად არა მარტო ჭიდაობის მოწინავე ცენტრებს ჩამოვრჩით, არამედ ჩვენზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყირგიზეთის სპორტსმენებსაც. კარგა ხანია საკავშირო ჩემპიონატებში ასე წარუმატებლად არ გამოვსულვართ. გამოცდილი მოჭიდავეებიდან მხოლოდ დავით გიგაური მოხვდა ექვსეულში, ახალგაზრდებს შორის კი საუკეთესო შედეგი (IV ადგილი) ჰქონდა მამუკა რაზმაძეს.

— იქნებ უფრო კონკრეტულად გვიამბოთ ცალკეულ მოჭიდავეთა გამოსვლაზე...

— პირველ ყოვლისა, იმას ვიტყოდი, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა უმჩატეს და ქვემსუბუქ წონებში, საიმედო ძალა არა ჩანს 62 და 74 წონით კატეგორიებში. ხშირად ვამბობთ, რომ ჭიდაობის ქართულ სკოლას ტალანტები არ აკლია, გამოცდილი მწვრთნელ-სპეციალისტებიც საკმაოდ გვყავს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ნიჭიერი ახალგაზრდების ნაკლებობა მაინც იგრძნობა, არც მწვრთნელთა მუშაობით ვართ კმაყოფილი. ცხადია, სანამ ასე გაგრძელდება, სანამ ერთი-ორი პერსპექტიული სპორტსმენის იმედად ვიქნებით, თავისუფალი ჭიდაობის ტრადიციების აღდგენა არ მოხერხდება.

...ზემოთ ითქვა, რომ კრასნოიარსკში ჩვენი რესპუბლიკის თხუთმეტმა მოჭიდავემ იასპარეზა. ყველას გვეგონა, რომ მაღალი ადგილებისათვის იბრძოლებდნენ მაკასარაშვილი, გიგაური, ტატუაშვილი, ყურაშვილი, ქენქაძე... სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ერთადერთი მოჭიდავე, ვინც ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო, „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი მამუკა რაზმაძე იყო (90 კგ), არადა, ყველაზე ძლიერი შემადგენლობა სწორედ მის წონაში შეიკრიბა: მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სანასარ ოჰანესიანი, მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონი პიოტრ ნანიევი, ევროპის ჩემპიონი ვახა ევლოევი. მართალია, რაზმაძე სტარტზე დამარცხდა (ორჯონიკიძელ ტავგაზოვთან), მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო (მათ შორის—ევლოევთან). მეექვსე წრეში იგი ოჰანესიანს შეხვდა და როგორც სწორი სწორს, ის ეჭიდავა. ქართველი სპორტსმენი თავიდანვე დაწინაურდა, ერთხელ „ხიდზეც“ დააყენა გამოცდილი მეტოქე, მაგრამ ძალა ბოლომდე არ ეყო და ქულებით წააგო. საბოლოოდ ჩემპიონი ევლოევი გახდა. ასეთ „კომპანიაში“ მეოთხე ადგილი რაზმაძის უდავო წარმატებაა. ამ წონაში კიდევ ორი ქართველი მოჭიდავე გამოდიოდა—გია ოქროპირიძე („განთიადი“) და მამუკა ხურციძე („კოლმეურნე“). ხურციძემ მხოლოდ ორ წრეში იჭიდავა, ოქროპირიძემ ორი შეხვედრა მოიგო და ორი წააგო. მეორე წრეში მან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ნანიევს. საფინალო სასტვენის ხმა რომ გაისმა, ანგარიში 8:8 იყო. სააპელაციო ჟიურიმ ნახა ამ ორთაბრძოლის ვიდეოჩანაწერი, ბოლო ქულა ნანიევს ჩაეთვალა და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

სააპელაციო ჟიურიმ გადაწყვიტა მაკასარაშვილ-ჯაბრაილოვის შეხვედრის ბედიც. ანგარიში აქაც „საყაიმო“ იყო — 2:2. ეს ორი ქულა ჩვენმა მოჭიდავემ „ტრიალით“ დაიმსახურა, მაგრამ მეტოქის კონტრილეთიც ორი ქულით შეფასდა და გამარჯვება ჯაბრაილოვს მიეკუთვნა. ამის შემდეგ მაკასარაშვილმა (82 კგ, საბჭოთა არმია) აშკარა უპირატესობით მოუგო მახაჩყალელ მაჰომედოვს, ქულებით აჯობა მოსკოველ სკალდინს, მაგრამ კრასნოიარსკელ მოდოსიანთან დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა.

თბილისის წლევანდელი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ბევრი ქების სიტყვა ითქვა ზურაბ ტატუაშვილის (52 კგ, „დინამო“) მისამართით. ამ შეჯიბრებაზე ტატუაშვილი მართლაც შეუდარებელი იყო. უდავოდ კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ სტაბილურობა აკლია. კრასნოიარსკში მან ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო (ერევნელ ეკმატიანთან — 13:15, მახაჩყალელ ალისულთანოვთან — წმინდად) და შეჯიბრებას გამოეთიშა. აღსანიშნავია, რომ ტატუაშვილის მეტოქეებმაც წააგეს მომდევნო შეხვედრები და ექვსეულში ვერ მოხვდნენ.

პირველი ქვესაშუალო წონა. აქ ჟდანოველ ხარაჩურასთან ერთად ფავორიტად ასახელებდნენ დავით გიგაურს (საბჭოთა არმია). ეს მოჭიდავეები მეხუთე წრეში დაწყვილდნენ (მანამდე გიგაურმა ყველა შეხვედრა მოიგო). პრინციპული ორთაბრძოლა ხარაჩურას გამარჯვებით დამთავრდა —6:3. შემდეგ ქართველმა მოჭიდავემ მოსკოველ გიგინიანთანაც წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ამ წონაში ჩვენი რესპუბლიკიდან კიდევ სამი სპორტსმენი ასპარეზობდა: გივი ქენქაძემ (საბჭოთა არმია) სამი წრე იჭიდავა, ლევან სირაძემ („სპარტაკი“) და რუბენ პოლოსიანმა („კოლმეურნე“) — ორ-ორი. სასტარტო შეხვედრები დათმეს და მაყურებლებში გადაინაცვლეს დავით ჰინჭარაძემ (62 კგ, „ბურევესტნიკი“) და ვაჟა კოტორაშვილმაც (74 კგ, „ზენიტი“).

გულშემატკივრები, ცხადია, მეტს მოელოდნენ მძიმე წონის მოჭიდავეებისაგან, განსაკუთრებით ჯემალ ტარიელიძისაგან („დინამო“), რომელიც საბოლოოდ მერვე ადგილზე დარჩა. უდავოდ საიმედო სპორტსმენები არიან ახალგაზრდა მოჭიდავეები დავით გობეჯიშვილი („დინამო“) და ზაზა ვარდოშვილი („კოლმეურნე“). მათ ამ შეჯიბრებაზე შესაბამისად მეშვიდე და მეცხრე ადგილები დაიკავეს. ჩვენ არაფერი გვითქვამს სოხუმელ გია ყურაშვილზე (100 კგ, „კოლმეურნე“): იგი პირველივე წრეში დაშავდა და შეჯიბრების გაგრძელება ვეღარ შეძლო.

— კრასნოიარსკის ჩემპიონატი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო ჩვენი მოჭიდავეებისათვის. შარშანდელ სპარტაკიადაზე გუნდურ ჩათვლაში მოპოვებული მეოთხე ადგილი ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ, როგორც ჩანს, უძლიერესთა ჯგუფში დასაბრუნებლად თავისუფალი ჭიდაობის მესვეურებს გაცილებით მეტი და მრავალმხრივი მუშაობა მართებთ...

— საკმაო ხანია მოჭიდავეთა ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან შეჯიბრებას ვემსახურები, ჩვენი ფალავნების არაერთი გამარჯვებისა და მარცხის მოწმე ვყოფილვარ და უნდა ვთქვა, რომ ძნელია გამართლება მოუძებნო კრასნოიარსკის ხალიჩაზე ქართველ მოჭიდავეთა ულიმღამო გამოსვლას. ასეთი შედეგი ჩვენს ტრადიციასა და შესაძლებლობებს აშკარად არ შეჰფერის. მინდა ბოლომდე ობიექტური ვიყო: საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა მწვრთნელებზე ნამდვილად ვერ იტყვი, საქმის სიყვარული და ენთუზიაზმი აკლიათო, მაგრამ ერთი-ორი მწვრთნელის მონდომება და ენერგია საქმეს არ შველის. არც ის იქნება სწორი, ამ ჩემპიონატის შედეგებით იმედგაცრუებულებს საბოლოო „განაჩენი“ გამოგვეტანა ჩვენი მოჭიდავეებისათვის. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ჩემპიონატი საუწყებო იყო და მოჭიდავეები თავიანთი სპორტსაზოგადოებების ნაკრებ გუნდებში ემზადებოდნენ.

— ანგარიში კი უნდა გავუწიოთ, მაგრამ ეს ჩვენს მწვრთნელებს არამც და არამც არ ამართლებს. ისინი მაინც პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოწაფეების მომზადებისა და შედეგებისათვის.

— ოქტომბერში ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ტარდება. იქ უკვე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები დამოუკიდებლად იასპარეზებენ და ბევრი რამ ნათელი გახდება. ჩვენმა ფალავნებმა, მათმა მწვრთნელებმა ალმა-ათაში უნდა დაამტკიცონ, რომ შეუძლიათ ღირსეული კონკურენცია გაუწიონ რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების გუნდებს.

**საუბარი ჩაიწერა
ელგუჯა ბერიშვილმა.**

მიხეილ მესხი

დიალოგი ცხრილთან

● წარმოდგენა რად მინდა. მე თავად გახლდით იმ შეხვედრაზე და, უნდა გითხრათ, მეტად აქტიურადაც გამოვხატავდი ჩემს აღფრთოვანებას თქვენი შეუდარებელი თამაშით. ოღონდ მინდა დავაზუსტო, რომ როსტოველებთან თქვენ გაიტანეთ არა ოთხი, არამედ სამი ბურთი. ასე დაიწერა საგაზეთო ანგარიშებშიც და შეხვედრის ოქმშიც.

— მე კი მშვენივრად მახსოვს, რომ ოთხი გოლი გავიტანე. თუმცა ამ მხრივ ბედი არასოდეს მწყალობდა. საკმარისი იყო ჩემი დარტყმული ბურთი სულ ოდნავ შეხებოდა მეტოქეთა მცველებს, რომ, თუნდაც კარში გასულიყო, გოლს მე აღარ ჩამითვლიდნენ.

ასე იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უელსთან, ასე იყო საკავშირო პირველობის რამდენიმე შეხვედრაში.

● მთლად ასეც არ არის საქმე. ერთხელ, რიგელებთან მატჩში, თქვენი დარტყმის მერე ბურთი მეტოქის მცველს სტრაუმეს მოხვდა ფეხზე და მათი კარის ბადეში გაეხვია, მაგრამ გოლი თქვენ ჩაგითვალეს.

— მართლა? რა მეთქმის, მაგისთვისაც მადლობელი ვარ.

● ფეხბურთელის შედეგიანობის საზომად სისტემა „გოლი+პასი“ რომ იყოს მიღებული, თქვენ ალბათ ფედოტოვის კლუბის პირველ ათეულში მაინც მოხვდებოდით.

— ეჭვი არ მეპარება. დასანანია, რომ სტატისტიკოსები ასე არ ანგარიშობენ. ვინ მოთვლის, რამდენი ბურთი გაუტანიათ ჩემი გადაცემის მერე კალოევს, გივი ნოდიას, ნაკრებში — ვიქტორ პონედელნიკს.

● თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ შემთხვევა, როცა ბურთი დაარტყით და მიზანს ვერ მიაღწიეთ?

— დღესაც მწარედ მაგონდება ერთი შემთხვევა: ბურთი მომაწოდეს მართლაც იდეალურ პოზიციაში. იაშინის კარიდან ორ-სამ მეტრში ვიდექი. დავარტყი და ავაცდინე. ის ამბავი რომ გამახსენდება, ახლაც გუნება მიფუჭდება. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რა დამემართა...

● ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?

— ნაკრების მატჩებიდან გავიხსენებ ფინალურ შეხვედრას იუგოსლავიის გუნდთან 1960 წელს, როცა ევროპის თასი მოვიპოვეთ. თბილისის „დინამოს“ შეხვედრებიდან დაუვიწყარია დამატებითი მატჩი „ტორპედოსთან“ ტაშკენტში, რომელმაც პირველი ოქროს მედლები მოგვიტანა. ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. პირადად ჩემთვის კი, ვფიქრობ, ყველაზე იღბლიანი იყო საბჭოთა ნაკრების შეხვედრა არგენტინის გუნდთან 1961 წელს ბუენოს-აირესში.

მე გამახსენდა ჟურნალისტ მარტინ მერჟანოვის ნაამბობი. არგენტინელებთან მატჩის შემდეგ გავრილ კაჩალინს მოთამაშეებისთვის უთხოვია ცალ-ცალკე დაეხასიათებინათ თავიანთი მეტოქეები. მესხის ჯერი რომ დამდგარა, მას ასე დაუხასიათებია თავისი მეურვე მცველის სიმეონის ტაქტიკური თავისებურება: „ტრუსებში იცის ხელის ჩავლება“.

● ალბათ ჩვენ სტადიონებზეც გამოუყენებიათ მსგავსი „ტაქტიკა“ თქვენს წინააღმდეგ...

— ბევრჯერ. ერთხელ ერევანში ედიკ ვარდანიანი, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მაისურში მწვდა და ტანზე შემომახია. ახლა მე და ედიკი მეგობრები ვართ. ყოველთვის, როცა სტუმრად ვეწვევი ხოლმე, მეგობრები ეკითხებიან, რა ქენი, უყიდე მაისური თუ არაო?

● ზოგჯერ კი ალბათ არც მაგას გაკმარებდნენ ხოლმე...

— რაღა თქმა უნდა. ფორმას ვინღა დაეძებდა, მთავარი იყო ფეხები გადამერჩინა. ერთხელ კიევში მასპინძელთა მცველმა რამდენიმეჯერ აკრძალული ილეთით შემაჩერა. საყვედურით შევხედე. შეწუხებული მომიახლოვდა და მეუბნება: მაპატიე, მიშა, მწვრთნელმა დამავალა, მოითმინე ერთი მატჩი, თორემ დუბლებში გადამიყვანენო. იმას სინდისი მაინც აწუხებდა...

● მსაჯებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— სავსებით ნორმალური. კონფლიქტი არასოდეს მომსვლია.

● მაპატიეთ, მაგრამ 1963 წლის 3 სექტემბერს, ბაქოს „ნეფთჩისთან“ მატჩის 54-ე წუთზე, ჩვენთან, თბილისში, თქვენ მინდვრიდან გაგაძევეს.

— კი, იყო ასეთი შემთხვევა. ბაქოელთა მცველი ახუნდოვი მთელი მატჩის მანძილზე, იმ 54-ე წუთამდე, ბურთს მივიღებდი თუ არა, ფეხებში მირტყამდა. არადა, ის დალოცვილი ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო. ბოლოს და ბოლოს ვერ მოვითმინე.., მაშინვე მოვარდა მსაჯი და მინდვრიდან გამაძევა. მერე ცოტა ხანს იყოყმანა და ახუნდოვიც გააგდო. მივდივარ დაბნეული და ახუნდოვი ღიმილით მეუბნება: „მე ჩემს მიზანს მივაღწიე, ახლა არც მე ვთამაშობ, არც შენ“.

● ვინ იყო თქვენთვის ყველაზე „ძნელად დასაძლევი“ მცველი?

— პონომარიოვი, ცსკა-დან. ძალიან წმინდად, დაჯერებული ასრულებდა ილეთს, რომელსაც ფეხებში ვარდნას ვეძახით. და ამ ილეთით ხშირად ახერხებდა კიდეც ბრძოლიდან ჩემს გამოთიშვას.

● მისი ბრალი ხომ არ არის, რომ ჩემპიონატებში ამ გუნდთან მხოლოდ ერთი გოლი გაქვთ გატანილი?

— შეიძლება.

● თქვენ ბევრი მწვრთნელი გყავდათ. მათგან რომელს იხსენებთ დღეს ყველაზე მეტი სიამოვნებით?

— ანდრო ჟორდანიას, გავრილ კაჩალინს და ვასილი სოკოლოვს.

● რატომ მაინცდამაინც იმათ?

— ისინი ხელს არ მიშლიდნენ.

● ბოლო, 35-ე მატჩში საბჭოთა ნაკრების სახელით 1966 წლის 20 აპრილს ითამაშეთ შვეიცარიის გუნდთან, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ბევრ გულშემატკივარს იმედი ჰქონდა, რომ იხილავდა თქვენს თამაშს ინგლისის მოედნებზე.

— მოხდა ისე, რომ ჩილის ჩემპიონატის შემდეგ, როცა კაჩალინმა გუნდი დატოვა, თუმცა ევროპისა და მსოფლიოს ყველა სიმბოლურ ნაკრებში ვიყავი, საბჭოთა ნაკრებში მოხვედრისთვის გამუდმებული ბრძოლა მჭირდებოდა და ეს ბრძოლა მუდამ წარმატებით როდი მთავრდებოდა. არადა, დარწმუნებული ვარ, ინგლისში სარგებლობას მოვუტანდი გუნდს.

● 1969 წლის 4 აპრილს სეზონის გახსნის მატჩში თქვენ გაიტანეთ საკავშირო ჩემპიონატებში უკანასკნელი, 53-ე გოლი. ეს იყო „ლოკომოტივთან“ შეხვედრა. 9 მაისს ქუთაისში მე-60 წუთზე შეგცვალეს. ეს იყო თქვენი უკანასკნელი, 285-ე მატჩი ჩემპიონატში.

— როცა ჩემი მეთხუთმეტე სეზონისთვის ვემზადებოდი, არ მიფიქრია, რომ ამ სეზონში მხოლოდ ოთხ მატჩში მომიხდებოდა გამოსვლა.

● ზოგი ფიქრობს, რომ ფეხბურთიდან წასვლა გაიძულათ თვით თამაშის ხასიათის შეცვლამ, რამაც უჩვეულოდ გაზარდა ფეხბურთელის დატვირთვა მინდორზე, მათ შორის — დაცვის ფუნქციებიც.

— ეს ერთი მიზეზი იყო. ფეხბურთიდან ჩემი წასვლა სხვა გარემოებებმაც განაპირობა... ხშირად მაგონდება ერთი იუგოსლაველი მწვრთნელის სიტყვები: ვეტერანები თავითა და ფეხებით თამაშობენ, ახალგაზრდა ფეხბურთელები კი — მარტო ფეხებითო. დარწმუნებული ვარ, ვეტერანებს ცოტა მეტი მზრუნველობით რომ ეკიდებოდნენ, კიდევ ორ-სამ წელიწადს მაინც ვითამაშებდი...

და მაინც, მესხი დარჩა ფეხბურთში — იგი უკვე მრავალი წელია ხელმძღვანელობს ბავშვთა ფეხბურთის სკოლას „ავაზას“. სკოლამ ქართულ ფეხბურთს მისცა ისეთი საიმედო სპორტსმენები, როგორიც არიან გოჩა ჯოხაძე, მიხეილ მესხი-უმცროსი, ვაჟა ჟვანია, იაგო ჟორჟიკაშვილი. გვინდა გვჯეროდეს, რომ სკოლის მწვრთნელები კვლავაც გაზრდიან საიმედო, თვითმყოფი ნიჭით დაჯილდოებულ ბიჭებს, „ხელს არ შეუშლიან“ მათი ტალანტის განვითარებას და დაეხმარებიან ახალგაზრდებს იმ მაღალი მწვერვალების დაპყრობაში, თავის დროზე სახელგანთქმული მიხეილ მესხი რომ იპყრობდა.

აქსელ ვართანიანი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 110, 111.

საბჭოთა კავშირის პირველობა

I ლიგა

9 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XV ტურის კალენდარული მატჩები.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:0 (1:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 9 ივნისი.

„ტორპედო“: ტუებუჩავა, კოსტავა (კურტანიძე), ფრუიძე, დოჩია, თავაძე, შენგელია, კორღალიძე, კერესელიძე, მეგრელაძე, ვასაძე (ჯოხაძე), კვერნაძე.

„ნისტრუ“: ბოტნარაში, ტეგლიაცოვი (იანეცი), კარასი, სირბუ, მილჩენკო, დუბროვინი (ტარლაპანი), ჩებანუ, ბოგდანეცი (დეინეგა), ალექსანდროვი, ხავჩენკო, მაქსიმი.

მსაჯი ა. ლუნინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

ახლა, როცა ქუთაისის „ტორპედო“ ლიგის გათამაშების ლიდერთა შორისაა და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების რეალური შესაძლებლობა აქვს, მას ყოველ მატჩში სჭირდება მაქსიმალური მონდომებით ბრძოლა, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებები.

სწორედ ამ დევიზით წარიმართა შეხვედრა კიშინიოვის „ნისტრუსთან“, თამაშის დასაწყისიდან ბოლომდე ტორპედოელთა გამარჯვება არავითარ ეჭვს არ იწვევდა. ანგარიშიც გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ სტუმრები უფრო დიდი წაგებისგან იხსნა მეკარე ბოტნარაშმა. თუმცა მან რამდენიმე აშკარა შეცდომა დაუშვა.

მაგალითად, კვერნაძემ მე-4 წუთზე კარის გასწვრივ ჩააწოდა, „ნისტრუს“ მეკარემ ხელიდან გაუშვა იოლი ბურთი და კორღალიძემ ახლო მანძილიდან დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე წარმატებას მასპინძლებმა შესვენების შემდეგ მიაღწიეს: 52-ე წუთზე კვერნაძის მიერ დარტყმული ბურთი ბოტნარაშს კვლავ ხელიდან გაუვარდა და ბადეში აღმოჩნდა — 2:0.

ამის შემდეგ „ნისტრუს“ კართან უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნა და სწორედ მაშინ გამოიჩინა თავი მეკარემ, მაგრამ 89-ე წუთზე იგი მაინც უძლური იყო მოეგერიებინა კორღალიძის დარტყმა — 3:0.

ბოლო 7 მატჩში, რომელთაგან 4 სტუმრად ჩატარდა, ქუთაისელებმა 13 ქულა აიღეს. გუნდი, უდავოდ, აღმავლობის გზაზეა და წარმატებით იბრძვის დასახული მიზნის მისაღწევად.

ბეჟან ნამიჭეიშვილი,
(„ლელოს“ კორ.).

„დინამო“ (ბათუმი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:1 (0:0).

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 9 ივნისი.

„დინამო“: მამინაშვილი, წუწუნავა, ანდღულაძე, დურდიაძე, გოგიტიძე, ზედანია, თოფურია (მენაბდე), ბაბუნიძე, შელია, გორგილაძე (მაკიროვი), ჩელებაძე.

„ტავრია“: მორგუნი, ტუხოვსკი, გუიგანოვი, გოცულიაკი, სიროვატსკი, ტეგლეცოვი, პანჩიკი, პრიჩინენკო, შუდრიკი, ნაუმენკო, უმრიხინი (ვიხორნოვი).

მსაჯი — ბ. კონფედერატი (ორჯონიკიძე).

გააფრთხილეს შუდრიკი, პრიჩინენკო, ზედანია.

დუბლიორები — 3:0.

წლევანდელი სეზონის სტარტზე მიღწეულ წარმატებათა შემდეგ ბათუმელებმა საგრძნობლად დათმეს პოზიციები. მათთვის თითოეულ ქულას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს და, რა თქმა უნდა, ამ ქულების ასაღებად გუნდს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეზრუნა „ტავრიასთან“ მატჩში, რომელიც ასევე წარუმატებლად გამოდის წლევანდელ გათამაშებაში.

თამაში კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შემდეგ მასპინძლებმა რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმში დიდი დატვირთვა დააწვა სიმფეროპოლელთა მეკარე მორგუნს. ბათუმელთა შემტევი მოთამაშეები ზედიზედ გადიოდნენ სახიფათო პოზიციაში, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანდა. და სწორედ მაშინ, როცა დინამოელები უტევდნენ, „ტავრიამ“ კონტრშეტევა განახორციელა, შემდეგ კუთხური მოაწოდა, მამინაშვილმა ვერ შეძლო ბურთის აღება და ტეგლეცოვმა გაიტანა გოლი, რომელმაც 2 ქულა მოუტანა სტუმრებს. მართალია, დარჩენილ დროში დინამოელები კვლავ უტევდნენ, მაგრამ შედეგი არც ამ იერიშებს მოუტანია.

ოთარ მურვანიძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ჯიზაკი“ (ზვეზდა) 2:0 (1:0).

ამ დღეს ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო ჯიზაკის „ზვეზდა“ და მთელი მატჩი დიდი უპირატესობით ჩაატარა. ლანჩხუთელებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისათვის, შემდეგ, 50-ე წუთზე „ზვეზდას“ მცველებმა თავიანთი კარის სიახლოვეს უხეშად ითამაშეს ებანოიძის წინააღმდეგ და კემეროველი მსაჯის ვ. რაზდაევის მიერ დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა თვით ებანოიძემ — 1:0.

სტუმრებმა შესვენების შემდეგ სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, კარგი მომენტები ჰქონდათ შაიმარდანოვს, კოლოსოვს და სხვებს, მარამ საუკეთესოდ ითამაშეს „გურიის“ დაცვითმა ხაზებმა, 85-ე წუთზე კი კოპალეიშვილი — უგრელიძის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ამ უკანასკნელმა — 2:0.

შემდგომ, XVI ტურში საქართველოს გუნდები კვლავ შინ თამაშობენ: ქუთაისელები მიიღებენ „ტავრიას“, ბათუმელები — „ნისტრუს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ შეხვდება დუშანბეს „პამირს“.

მოგვყავს ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 3:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „დაუგავა“ (რიგა) — „ირტიში“ (ომსკი) 0:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი“	14	9	3	2	17-7	21
„მეტალურგი“	14	8	5	1	27-9	21
„ტორპედო“ ქ.	14	9	2	3	28-14	20
„პამირი“	15	7	4	4	20-16	18
„ლოკომოტ.“	14	6	6	2	17-10	18
„ყუბანი“	14	8	1	5	22-11	17
„დაუგავა“	14	5	6	3	23-17	16
„ისკრა“	15	5	6	4	11-14	16
ასკ „კარპ.“	14	6	3	5	18-14	15
„შინიკი“	15	5	5	5	20-16	15
„კუზბასი“	14	5	5	4	13-10	15
„გურია“	14	4	6	4	15-18	14
„როტორი“	14	5	2	7	17-21	12
„დინამო“ ბ.	14	4	4	6	13-20	12
„კოლოსი“	14	4	4	6	13-21	12
„ნისტრუ“	15	4	4	7	11-26	12
„ტავრია“	15	3	6	6	13-18	12
„ზვეზდა“	15	4	3	8	12-18	11
„სპარტაკი“	14	4	3	7	10-16	11
„ირტიში“	14	2	6	6	10-15	10
ასკ ხ.	14	2	4	8	9-20	8
„ზარია“	14	1	6	7	11-19	8

II ლიგა

გასულ პარასკევს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის კალენდარული მატჩები: „არაზი“ (ნახიჩევანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:2, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „ოლიმპია“ (არტაშატი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 1:2, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:0.

საფრანგეთის სტადიონებზე

დღეს პარიზის „პარ დე პრენსის“ სტადიონზე საფრანგეთისა და დანიის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩით გაიხსნება ევროპის მორიგი, VII ჩემპიონატი. კონტინენტზე უძლიერესის წოდების მოსაპოვებლად თავდაპირველად 32 გუნდი იბრძოდა. 1982 წლის 1 მაისიდან 1983 წლის 22 დეკემბრამდე ისინი შვიდ შესარჩევ ჯგუფში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც შვიდმა საუკეთესო ნაკრებმა საფრანგეთის ასპარეზობის საგზური მოიპოვა. მასპინძელთა ეროვნული გუნდი, როგორც პირველობის ორგანიზატორი, პირდაპირ ფინალურ ტურნირში დაუშვეს.

სანამ ამ შეჯიბრების განრიგს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ შესარჩევი ჯგუფების შემადგენლობას (გამარჯვებულ გუნდებს შავი შრიფტით გამოვყოფთ):

I ჯგუფი. ბელგია, გდრ, შვეიცარია, შოტლანდია;

II ჯგუფი. პორტუგალია, პოლონეთი, სსრ კავშირი, ფინეთი;

III ჯგუფი. დანია, ინგლისი, უნგრეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი;

IV ჯგუფი. იუგოსლავია, ბულგარეთი, ნორვეგია, უელსი;

V ჯგუფი. რუმინეთი, იტალია, კვიპროსი, ჩეხოსლოვაკია, შვეცია;

VI ჯგუფი. გფრ, ავსტრია, ალბანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, თურქეთი;

VII ჯგუფი. ესპანეთი, ირლანდია, ისლანდია, მალტა, ჰოლანდია.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა საფრანგეთის შვიდ ქალაქში გაიმართება 12-დან 27 ივნისამდე. რვა გუნდი კენჭისყრის შედეგად ორ ჯგუფად გაიყო. თითოეული ჯგუფიდან ორი საუკეთესო ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს, ნახევარფინალურ შეხვედრებში გამარჯვებულნი კი 27 მაისს „პარ დე პრენსის“ მინდორზე ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებენ.

გთავაზობთ ევროპის VII ჩემპიონატის ფინალური ტურნირის შეხვედრათა განრიგს:

I ჯგუფი (ბელგია, დანია, საფრანგეთი, იუგოსლავია)

12 ივნისი, პარიზი. საფრანგეთი — დანია (მსაჯი ფოლკერ როტი, გფრ).

13 ივნისი, ლანი. ბელგია — იუგოსლავია (ერიკ ფრედრიკსონი, შვეცია)

16 ივნისი, ნანტი. საფრანგეთი — ბელგია (რობერტ ვალენტაინი, შოტლანდია)

16 ივნისი, ლიონი. დანია — იუგოსლავია (აუგუსტო ლამო კასტილიო, ესპანეთი)

19 ივნისი, სენტ-ეტიენი. საფრანგეთი — იუგოსლავია (ანდრე დაინა, შვეიცარია)

19 ივნისი, სტრასბურგი. დანია — ბელგია (ადოლფ პროკოპი, გდრ)

II ჯგუფი (ესპანეთი, პორტუგალია, რუმინეთი, გფრ)

14 ივნისი, სტრასბურგი. გფრ — პორტუგალია (რომუალდას იუშკა, სსრ კავშირი)

14 ივნისი, სენტ-ეტიენი. რუმინეთი — ესპანეთი (ალექსის პონე, ბელგია)

17 ივნისი, ლანი. გფრ — რუმინეთი (იან კაიზერი, ჰოლანდია)

17 ივნისი, მარსელი. პორტუგალია — ესპანეთი (მიშელ ვოტრო, საფრანგეთი)

20 ივნისი, პარიზი. გფრ — ესპანეთი (ვოიცეხ ხრისტოვი, ჩეხოსლოვაკია)

20 ივნისი, ნანტი. პორტუგალია — რუმინეთი (ჰაინც ფალერი, ავსტრია)

23 ივნისი, მარსელი. ნახევარფინალი: I ჯგუფის I გუნდი — II ჯგუფის II გუნდი (პაოლო ბერგამო, იტალია)

24 ივნისი, პარიზი, ნახევარფინალი: II ჯგუფის I გუნდი — I ჯგუფის II გუნდი (ჯორჯ კორტნი, ინგლისი)

27 ივნისი, პარიზი. ფინალი (ამ შეხვედრის არბიტრი იქნება ერთ-ერთი დასახელებული თოთხმეტი მსაჯიდან).

ცენტრალური ტელევიზია ვარაუდობს მოაწყოს ნახევარფინალური შეხვედრისა და ფინალური მატჩის რეპორტაჟი.

ახლა კი შეგახსენებთ ევროპის წინა ექვს ჩემპიონატში გამარჯვებულ გუნდებს: 1960 — სსრ კავშირი, 1964 — ესპანეთი, 1968 — იტალია, 1972 — გფრ, 1976 — ჩეხოსლოვაკია, 1980 — გფრ.

7. რუმინეთი

ევროპის ჩემპიონატის V შესარჩევ ჯგუფში რუმინელებთან ერთად გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონები — იტალიელები, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ძლიერი გუნდები. ამიტომ აქ გამარჯვება მეტად ძნელი საქმე იყო, მაგრამ მიმომხილველები იმასაც მიუთითებდნენ, რომ რუმინელებმა ასევე კარგად ითამაშეს 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, სადაც საკუთარ მინდორზე სძლიეს ინგლისელებს — 2:1, „უემბლიზე“ კი ფრეს მიაღწიეს (0:0) და მხოლოდ ბუქარესტში მოულოდნელმა წაგებამ შვეიცარიელებთან დააკარგვინა მათ ესპანეთის საგზური.

რუმინეთის ნაკრებს ხელმძღვანელობს 39 წლის მირჩეა ლუჩესკუ, რომელიც წარსულში თვით იყო ამ გუნდის თავდამსხმელი. ევროპის ჩემპიონატის ფინალისთვის მზადება რუმინელებმა იანვარში დაიწყეს, იმოგზაურეს ეკვადორსა და ბრაზილიაში, შეხვდნენ მაროკოსა და ალჟირის გუნდებსაც, თუმცა მ. ლუჩესკუმ ტურნეში ვერ წაიყვანა ქვეყნის უძლიერესი კლუბის ბუქარესტის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებიც ამ დროს ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალისთვის ემზადებოდნენ.

შემდეგ მწვრთნელმა გამოაცხადა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც საფრანგეთში წასვლის კანდიდატები არიან: მეკარეები ლუნგი (კრაიოვას „უნივერსიტატია“), მორარუ (ბუქარესტის „დინამო“), იორდაკე (ბუქარესტის „სტიაუა“), დაცვა — რედნიჩი (ბუქარესტის „დინამო“), ნეგრილა (კრაიოვას „უნივერსიტატია“), სტეფანესკუ (კრაიოვას „უნივერსიტატია“), იორგულესკუ (ბუქარესტის „სპორტული სტუდენტემტი“), ანდონე (ბუქარესტის „დინამო“), უნგურეანუ (კრაიოვას „უნივერსიტატია“), ვაეტუსი (ჰუნედოარას „კორვინული“), ნუმეეანუ (ბუქარესტის „სპორტულ სტუდენტემტი“), შუა ხაზი — ტიკლეანუ (კრაიოვას „უნივერსიტატია“), ბოლონი (ტირგუ-მურეშის ასა), მულტესკუ (ბუქარესტის „დინამო“), მოვილა (ბუქარესტის „დინამო“), ბალინტი (ბუქარესტის „სტიაუა“), ნიკოლაე (ბუქარესტის „დინამო“), ჰაგი (ბუქარესტის „სპორტულ სტუდენტემტი“), ავგუსტინი (ბუქარესტის „დინამო“), თავდასხმა — ბალაჩი (კრაიოვას „უნივერსიტატია“), გორაჩი (ბუქარესტის „სპორტულ სტუდენტემტი“), კამატარუ (კრაიოვას „უნივერსიტატია“), კრიშანი (კრაიოვას „უნივერსიტატია“), გაბორი (ჰუნედოარას „კორვინული“), გეოლგაუ (კრაიოვას „უნივერსიტატია“), კლაინი (ჰუნედოარას „კორვინული“).

როგორც ვხედავთ, ნაკრები კრაიოვას „უნივერსიტატიასა“ და ბუქარესტის „დინამოს“ ფეხბურთელთა თავისებურ „ბლოკს“ წარმოადგენს. აღნიშნავენ მეკარეების ლუნგისა და მორარუს საიმედო თამაშს, მრავალნაცადი მცველების სტეფანესკუსა და უნგურეანუს ოსტატობას. შუა ხაზზე გამოირჩევა ჩინებული დირიჟორი ავგუსტინი, თავდასხმაში, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავენ მარცხენა გარემარბ ბალაჩსა და ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელს კამატარუს. საფრანგეთში არ მიემგზავრება ცნობილი რუმინელი ოსტატი, „ოქროს ბუცის“ ადრინდელი მფლობელი დუდუ ჯორჯესკუ, ეს კი კამატარუს „დამსახურებად“ მიაჩნიათ, რომელიც ევროპული მასშტაბის სნაიპერი გახდა.

მაისის შუა რიცხვებში რუმინელებმა იტალიაში იმოგზაურეს, ამხანაგური მატჩი გამართეს ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ფიორენტინასთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით (2:0). 20 მაისიდან ბუქარესტში დაიწყო კანდიდატთა საბოლოო შეკრება. მ. ლუჩესკუმ, როგორც ბუქარესტის გაზეთი „სპორტული“ იუწყება, გამოსცადა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, შუა ხაზზე გადაიყვანა ბალაჩი და კიდევ უფრო გააძლიერა ნახევარდაცვა, რომელიც ახლა გუნდის უძლიერეს რგოლად უნდა მივიჩნიოთ.

რუმინელები არავის მიაჩნია ევროპის ჩემპიონატის ფავორიტებად, მაგრამ თვით მათ კი დიდი იმედები აქვთ. მწვრთნელი, მაგალითად, იმედოვნებს, რომ გფრ-ის ნაკრებთან ერთად სწორედ მისი გუნდი უნდა გავიდეს ნახევარფინალში. საინტერესოა, რომ ამ ბრძოლაში თავის მთავარ კონკურენტად რუმინელ მწვრთნელს მიაჩნია არა ესპანელები, არამედ პორტუგალიელები.

(დასასრული მე-4 გვ.).

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 12 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი“	11	7	2	2	22-10	16
„მერცხალი“	12	7	1	4	12-8	15
„სპარტაკი“	10	7	0	3	13-8	14
„კოლხოზჩი“	11	6	1	4	12-8	13
„კოლხეთი“	10	5	2	3	15-14	12
„ქიაფაზი“	10	5	1	4	17-11	11
„ლოკომ.“ თბ.	12	5	1	6	13-14	11
„ყარაბახი“	11	5	1	5	13-15	11
„ლოკომ.“ ს.	11	5	1	5	9-11	11
„დილა“	11	4	3	4	14-13	11
„ავტომობილ.“	10	4	2	4	14-11	10
„შირაკი“	11	4	2	5	9-9	10
„დინამო“ ს.	10	4	2	4	9-13	10
„ხაზარი“	11	3	3	5	4-9	9
„არაზი“	11	3	2	6	6-11	8
„მეშახტე“	10	2	2	6	7-12	6
„ოლიმპია“	10	1	2	7	5-17	4

ბრაზილიელები დამარცხდნენ “მარაკანაზე“

10 ივნისს რიო-დე-ჟანეიროს 200-ათასიან „მარაკანაზე“ გაიმართა ბრაზილიისა და ინგლისის ფეხბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

ცნობილია, რომ ინგლისის ნაკრები ბოლო ხანებში ერთობ წარუმატებლად თამაშობს. ჯერ ერთი, იგი ვერ მოხვდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, შემდეგ — მარცხიანად დაამთავრა დიდი ბრიტანეთის ეროვნული ჩემპიონატი, შინ წააგო მატჩი სსრ კავშირის ნაკრებთან, ამიტომ მეტოქის მინდორზე მას, თითქოს, წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა. თუმცა, არც ბრაზილიელები არიან ახლა უკეთეს დღეში: ბევრი მათი საუკეთესო ფეხბურთელი უცხოეთის ქვეყნებში გამოდის და იქ ეძებს „უკეთეს ცხოვრებას“. ისიც ცნობილია, რომ ბრაზილიაში სულ ახლახან გაათავისუფლეს ეროვნული ნაკრების ძველი მწვრთნელი და მის ნაცვლად დანიშნეს ედუარდო ანტუნეშ კოიმბრა, მეტსახელად — ედუ.

ბრაზილიისა და ინგლისის გუნდების 10 ივნისის მატჩი მიეძღვნა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის 70 წლისთავს. ეს ორი ნაკრები ბოლო 30 წლის მანძილზე ერთმანეთს თორმეტჯერ შეხვდა. ბრაზილიელებმა მოიგეს 7 მატჩი, 4 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ერთი წააგეს 1956 წელს ლონდონის „უემბლიზე“.

და აი, ბრაზილიელთა მეორე მარცხიც, ისიც შინ — 0:2. ამ წაგებამ ბრაზილიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, აქ უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ ეროვნული ნაკრების კრიზისზე.

თავიანთი კონფედერაციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის პროგრამით ბრაზილიელებმა კიდევ ორი მატჩი უნდა გამართონ არგენტინისა და ურუგვაის გუნდებთან.

ჭადრაკი

გაიმარჯვა იან ტიმანმა

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე დასკვნითი, XIII ტურის წინ შედგა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

დიდი ალმაცერობით ითამაშა ტორემ, რომელმაც მოუგო მაილსსა და სმისლოვს. ამ უკანასკნელმა დაამარცხა ლარსენი. მაილსმა მოუგო ივანოვიჩს და დაუზავდა ლარსენს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბელიავსკი—ანდერსონი, ივანოვიჩი—კოვაჩევიჩი და ანდერსონი—ტიმანი.

XIII ტურში ტიმანი დაუზავდა ბელიავსკის, რიბლი—ლიუბოევიჩს, ტორე—ტალს, სპასკი—კოვაჩევიჩს, ანდერსონი—ლარსენს, გლიგორიჩი—მაილსს, სმისლოვი—ივანოვიჩს.

ტურნირი დამთავრდა. 8,5 ქულით I ადგილი დაიკავა ი. ტიმანმა (ჰოლანდია). შემდეგ მოდიან: ზ. რიბლი (უნგრეთი) —8, ე. ტორე (ფილიპინები) — 7,5, ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — 7, ს. გლიგორიჩი, ლ. ლიუბოევიჩი (ორივე—იუგოსლავია), მ. ტალი, ა. ბელიავსკი (ორივე — სსრ კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია) — 6,5-6,5, ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), ე. მაილსი (ინგლისი) — 6-6, ვ. კოვაჩევიჩი — 5,5, ბ. ივანოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ბ. ლარსენი (დანია) — 5-5.

დღეს დასკვნითი ტურია

სოხუმში დასაწყისს მიუახლოვდა საქართველოს ქალთა 41-ე ჩემპიონატის ფინალი. სათამაშო დარჩა მხოლოდ დასკვნითი, IX ტურის პარტიები, რომლებიც დღეს, 12 ივნისს გაიმართება.

8 ტურის შემდეგ ოსტატ ქეთევან არახამიას 7 ქულა აქვს. მას შეუძლია შეინარჩუნოს საქართველოს ჩემპიონის ტიტული. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ოსტატი ნინო მელაშვილი და ოსტატობის კანდიდატი ზეინაბ ხვედელიძე (სამტრედია).

საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ ქეთევან კახიანი (გარდაბანი), ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი) — 5,5-5,5, ოსტატები ციცინო კახაბრიშვილი, ქეთევან მელაშვილი (ორივე — თბილისი), ციალა ქასოშვილი (გორი) და თამილა მესხი (ქუთაისი) — 5-5.

ოთხი ტურის შემდეგ

საქართველოს ვაჟთა 44-ე ჩემპიონატზე (უმაღლესი ლიგა) შაბათკვირას გაიმართა IV ტური და შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

IV ტურში სტურუამ დაამარცხა ბალათუროვი, ზაიჩიკმა — მიქაელიანი, ჩაჩიბაიამ — მაჰარაშვილი, ჩიქოვანმა — ხეცურიანი. ყაიმზე შეთანხმდნენ ეფიმოვი — ბიბილაშვილი და გურიელი — ბაბახანოვი. გადაიდო ტყებუჩავა — უბილავასა და გედევანიშვილ — გიორგაძის პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას უბილავამ მოუგო ჩაჩიბაიას I ტურიდან გამოტოვებული პარტია. გედევანიშვილმა სამ პარტიაში განაახლა თამაში: მოუგო ტყებუჩავასა და ჩიქოვანს, დაუზავდა ნინო გურიელს. ზაიჩიკმა დაამარცხა ხეცურიანი, მიქაელიანმა — მაჰარაშვილი. ყაიმზე შეთანხმდნენ ბაბახანოვი — ტყებუჩავა, ბალათუროვი — ხეცურიანი.

იმისათვის, რომ საერთაშორისო ოსტატთა და სპორტის ოსტატთა რეიტინგები უცვლელი დარჩეს, მათ აუცილებლად უნდა დააგროვონ შესაბამისად 11 და 8 ქულა.

ოთხი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: გენადი ზაიჩიკი — 3,5 ქულა, გია გიორგაძე, დიმიტრი გედევანიშვილი — 2,5-2,5 (1-1), ზურაბ სტურუა, გრიგოლ ბიბილაშვილი (რუსთავი) — 2,5-2,5.

ალექსი კუპავა,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

დიპლომები გადაეცათ

გასულ შაბათს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოეწყო ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. დარბაზში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. საზეიმო სალამო გახსნა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გიორგი ციციშვილმა.

სახალხო უნივერსიტეტის ორწლიან საქმიანობაზე ილაპარაკა მომხსენებელმა — სასწავლებლის პრორექტორმა ალექსანდრე ზედგინიძემ. მან აღნიშნა მსმენელთა გულმოდგინება, ინტერესი, აგრეთვე ჭამოჩენილი მოჭადრაკეების დახმარება სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში.

სასწავლებელი დაამთავრა 176 მსმენელმა, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები არიან.

კურსდამთავრებულებს მიესალმა და საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვაჟა შუბლაძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დიდოსტატი ნანა იოსელიანი, სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები გიორგი მახარაძე, გივი გამრეკელი და თენგიზ გიორგაძე. კურსდამთავრებულთა სახელით საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს ინჟინრებმა ნატო მესხმა და გივი ზოზიაშვილმა.

საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილემ ბიძინა ბაკურაძემ სიგელები გადასცა სახალხო უნივერსიტეტის აქტიურ დამხმარეებს.

—სახალხო უნივერსიტეტმა ქართულ ჭადრაკს შემატა ახალი ძალა, ამ უძველესი თამაშის თავგამოდებული პროპაგანდისტები. იმედი გვაქვს, რომ მათი დახმარებით კიდევ ბევრნი ეზიარებიან ჭადრაკის სიბრძნეს, — თქვა გიორგი ციციშვილმა.

ნინო გიორგაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი.

ცურვა

მსოფლიოსა და ევროპის რეკორდებით

მიუნჰენში, სადაც გფრ-ის მოცურავეთა ეროვნული ჩემპიონატი ტარდება, თავისუფალი სტილით 200 მეტრზე შეჯიბრებაში მიხაელ გროსმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1.47,55.

19 წლის სპორტსმენმა 0,32 წამით გააუმჯობესა თავისივე შარშანდელი მიღწევა.

მეორე დღეს გროსმა კიდევ ერთი გამარჯვებით გაახარა გულშემატკივრები. ამჯერად მან ევროპის რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 53,78.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 23-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 17 (ციგურაობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 40 (ბადმინტონი), 46 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 2 (ბიატლონი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 20 (აფრონსნობა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი.)

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 14 ივნისს.

რედაქტორი ა. ბოგელია.

1984 წლის 15 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი. რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სპორტკომიტეტებისა და ფეხბურთის ფედერაციების თავმჯდომარეთა დასწრება სავალდებულოა.

რეგისტრაცია — 10 საათიდან. დასაწყისი 11 საათზე.

ფეხბურთის დღესასწაული

მისი უდიდებულესობა ფეხბურთისადმი საყოველთაო ერთგულებისა და სიყვარულის დასტური იყო დიდი საფეხბურთო ზეიმი, რომელიც 10 ივნისს გაიმართა მთელს საქართველოში. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ცნობით ამ დღეს სტადიონებზე და ფეხბურთის მოედნებზე გამოვიდა სხვადასხვა ასაკის ათი ათასობით ადამიანი.

უძლიერესია ივან ლენდლი

პარიზის ღია ჩემპიონატის ფინალში „როლან გაროს" ცენტრალურ კორტზე ერთმანეთს შეხვდნენ ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) და ჯონ მაკენროუ (აშშ). გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა.

ტრიუმფი ინგლისის გზებზე

ველორბოლა ინგლისის გზებზე საბჭოთა სპორტსმენთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: მათ ყველას აჯობეს როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. როვნოელმა ოლეგ ჩუჟდამ რბოლის უკანასკნელი, მეთორმეტე ეტაპიც მოიგო. ლიდსსა და ბლეკპულს შორის 134 კმ მან 3 საათში, 52 წუთსა და 25 წამში დაფარა. საერთოდ, ინგლისის გზებზე 1770 კილომეტრის გავლას მან 46 საათი, 41 წუთი და 21 წამი მოანდომა. მეორე ადგილზე გასული შვედი სპორტსმენი სტეფან ბრიკტი გამარჯვებულს წუთითა და 10 წამით ჩამორჩა.

ინფორმაცია

საბჭოთა კავშირის გუნდმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. შვედებს მან 13 წუთითა და 7 წამით გაუსწრო, ხოლო III ადგილზე გასულ დიდი ბრიტანეთის ნაკრებს 18 წუთით აჯობა.

ათწამიანი ზღვარი დაძლეულია

ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში იანუშ კუსოჩინსკის მემორიალზე პოლონელმა ათლეტმა მარიან ვორონინმა 100 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდი დაამყარა. მან ევროპელთაგან პირველმა გაირბინა ეს დისტანცია 10 წამზე ნაკლებ დროში — 9,99.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

15 ივნისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — ცსკა

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 12-13 ივნისს 10 საათიდან, ხოლო სტადიონის სალაროებში 12 ივნისიდან (დილის 10 საათიდან).

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, გმირებისა და სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

აბონემენტების მფლობელებს შეუძლიათ საფეხბურთო ლატარიის ბილეთები შეიძინონ № 7 სალაროში.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობანი ითამაშებენ „დინამოს" სტადიონზე 14 ივნისს.

დასაწყისი 19 საათზე

უამინდობის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი შედგება გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონზე.

8. იუგოსლავია

იუგოსლავიის საუკეთესო ფეხბურთელთა უმრავლესობა ტრადიციულად საზღვარგარეთ თამაშობს, ამიტომ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ტოდორ ვესელინოვიჩმა გადაწყვიტა ყურადღება იმ მოთამაშეებზე გაემახვილებინა, რომლებიც უშუალოდ იუგოსლავიის კლუბებში გამოდიან. ნაკრებში ადგილი შეუნარჩუნეს მხოლოდ ცნობილ მცველს პერუზოვიჩსა (ბრიუსელის „ანდერლეხტი") და 1983 წელს საფრანგეთში № 1 უცხოელ ფეხბურთელად აღიარებულ თავდამსხმელს სუშიჩს („პარი-სენ-ჟერმენი"). როგორც იუგოსლავიის პრესა წერს, ეს ფეხბურთელები ტ. ვესელინოვიჩისთვის თავისებური „მზვერავების" როლსაც ასრულებენ: სუშიჩი მწვრთნელს სისტემატურად ატყობინებს, როგორ თამაშობენ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები, პერუზოვიჩის შემწეობით კი ვესელინოვიჩს სრული ინფორმაცია აქვს ბელგიის ნაკრებში შექმნილ სიტუაციაზე.

ტ. ვესელინოვიჩმა ფაქტიურად თავიდან შექმნა ნაკრები. იმ 13 ფეხბურთელიდან, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში სისტემატურად რომ თამაშობდნენ, გუნდს სულ ხუთიექვსი თუ შემორჩა. დანარჩენ პოზიციებზე ახალმა ხელმძღვანელმა ახალგაზრდები დააწინაურა.

იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეთამაშა იუგოსლავიის ნაკრებში, პრესაში აზრი გამოთქვეს ცნობილმა სპეციალისტებმა ბოშკოვმა, ივიჩმა, ზებეცმა და სხვებმა, ბელგრადის ჟურნალმა „ტემპომ" მკითხველთა რეფერენდუმიც კი მოაწყო — „როგორია იუგოსლავიის იდეალური ნაკრები დღეისათვის?" აი, ამ რეფერენდუმის შედეგებიც: სიმოვიჩი (სპლიტის „ჰაიდუკი"), პერუზოვიჩი, ზაიეცი (ზაგრების „დინამო"), ნ. სტოიკოვიჩი (ბელგრადის „პარტიზანი"), რადანოვიჩი („პარტიზანი"), პეტროვიჩი („ანტვერპენი"), გუდელი („ჰაიდუკი"), ბაზდარევიჩი (სარაევოს „ჟელეზნიჩარი"). ზლ. ვუიოვიჩი („ჰაიდუკი"), ჰალილჰოჯიჩი („ნანტი"), სუშიჩი.

ტ. ვესელინოვიჩი ძირითადად დაეთანხმა მკითხველებს, თუმცა შეურიგებელი პოზიცია დაიკავა პეტროვიჩისა და საფრანგეთის ლიგის № 1 სნაიპერ ჰალილჰოჯიჩის მიმართ. ჰალილჰოჯიჩი დაიცვა არაერთმა იუგოსლაველმა ექსპერტმა, თვით ფეხბურთელმა კი ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში აღნიშნა, რომ მას საზღვარგარეთ თამაშისთვის სჯის კაცი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თვითონ გამოდიოდა უცხოეთში.

მაისის მიწურულს ტ. ვესელინოვიჩმა გამოაქვეყნა ნაკრების წევრთა სია და კამათიც დამთავრდა: მეკარეები — სიმოვიჩი, ივკოვიჩი (ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა"), მცველები — პერუზოვიჩი, ნ. სტოიკოვიჩი, რადანოვიჩი, ზაიცევე, ბალიჩი („ჟელეზნიჩარი"), მილიუში, ჩოპი (ორივე — „ჰაიდუკი"), ელზნერი („ცრვენა ზვეზდა"), ჰაჯიბეგიჩი („სარაევო"), შუა ხაზი — გუდელი, ბაზდარევიჩი, დ. სტოიკოვიჩი (ნიშის „რადნიჩკი"), კატანეცი (ლიუბლიანის „ოლიმპია"), დევერიჩი (ზაგრების „დინამო"), თავდასხმა— სუშიჩი, ზლ. ვუიოვიჩი, შესტიჩი, ჯუროვსკი („ცრვენა ზვეზდა"), ჰალილოჯიჩი (ვინკოვცის „დინამო").

მიმომხილველები პირველ ყოვლისა აღნიშნავენ მეკარე სიმოვიჩის ოსტატობას. იგი 30 წლისაა, 1982 წლამდე ფიქრობდნენ, რომ პანტელიჩი და სვილარი უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ ვესელინოვიჩი სულ სხვა აზრისაა. ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სიმოვიჩი ინგლისის „ნოტინგემ ფორესტში" გადადის. 1983 წლის სეზონის შედეგებით იგი იუგოსლავიის № 1 ფეხბურთელად გავიდა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ყურადღება მიიპყრო მოიერიშე მცველმა, 24 წლის რადანოვიჩმა, მისი ტოლია ნახევარმცველი ბაზდარევიჩი — დიდი დიაპაზონის, შედეგიანი მოთამაშე. ტ. ვესელინოვიჩის მიერ დაწინაურებულ ახალგაზრდებს შორის უნდა აღინიშნოს თავდამსხმელი ჯუროვსკიც.

რა პერსპექტივები აქვს იუგოსლავიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალში? ტ. ვესელინოვიჩი პროგნოზებისგან თავს იკავებს, სხვების აზრით კი, ვინც საკონტროლო მატჩებს დაესწრო, იუგოსლაველებს დიდი პოტენციური ძალა აქვთ. ბელგიელთა მწვრთნელმა გ. თისმა განაცხადა: „როცა იუგოსლავიის ნაკრებს სუშიჩი და პერუზოვიჩიც დაემატებიან იგი მრისხანე ძალა გახდება".

გივი გამრეკელი.

გურჯაანის სპორტკომიტეტი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გურჯაანის „ალაზნის" ფეხბურთელი

ზაზა ერასტის ძე გოგინაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
ИНДЕКС 66435
გაზეთი კორპუსში. მოცულობა. 25. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უ8_07294